თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კი [illegible] ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მ., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 45
წელიწადი მეორე
— 1913 —

ოთხშაბათი, 27 თებერ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, 3. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ჯეულობისა და ჭურჭლე-
ობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ალექსანდრეს ქუჩაზე,

ნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოვება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკისრულობ ის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოვება მსურველთათვის სპეციალისტი მონტერები. ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის მცემელი ფ. ს. ფილიპოვი.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე.

ლიწადი მეორე
1913 იმერეთი

აზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

მცლო-ვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის — სამ მანეთად.

ცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს შაურათ, მეოთხეზე — ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ოები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება — ნახევარ ფასათ.

ზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и кон-
ра газеты „ИМЕРЕТИ“, Василію [illegible]

წინასწარათ გამოგზავნილ ფულსა [illegible]

ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ქვრივი რიფსიმე ფალიევის ასული მესხისა შვილებით: დავით, მეუღლე მისი ნატალიით, ოლღა, მარიამ ბაბილოძისა და ალექსანდრა სიმონიასა უწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ — პირველი საყვარელი შვილის, მეორე ძმის, მესამე მაზლის და უკანასკნელნიც ძმის

სიმონ ბარნაბის ძის მესხის

გადაცვალებას, რომლის გამომსვენება (ლევაშოვის ქ. ბაბუხადიას სახ.) დანიშნულია 28 თებერვალს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

ქ. ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა.

დან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი ს მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

ამ დროით
ი. კემულარიას შვილის მაღაზიაში
ქალ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, საკუთ. სახლში, 57.
დანიშნულია
იდი იაფი
ვაჭრობა

ნაირ საქონლებისა ძლიერ დაკლებულ ფასებში და უვაჭროთ. მაღაზიაში დარჩენილია რამდენიმე ათასი დარჩენილ ნაჭრებისა იაფ ფასში გასაყიდათ. ა მაღაზიის განყოფილებებში: მანუფაქტურის და გალანტერეის ფასები 40, 50, 60 პროცენტებით იაფია. ფეხსაცმელები ძლიერ იაფ ფასებში.

სახლის ამშენებელთა
საყურადღეოთ

ქალაქის ეკლარის ქვის სატეხის მოიჯარადრენი ტეხნიკი დ. პ. წულეისკირი და ი. დ. ბოლქვაძე ამით აუწყებენ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მათ აიღეს ეს ქალაქის ქვის სატეხი და შეუძლიათ საზოგადოებას მიაწოდონ სამნაირი ქვა: თეთრი, ლურჯი და წითელი ყოველივე ზომის. ეს ქვა განთქმულია თავის გამძლეობით და სილამაზით და თანაც სამუშევრათ იოლია. აგრეთვე აქვსთ ქვები ქვაფენილებისათვის ყოველივე ზომის, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ კანტორაში: პუშკინის ქუჩა, ქალაქის თვითმართველობის ქვეშ.



იულიუს სარეკ
მოიჯარადრე ქუთ. ქალ.
ქუჩ. ნავთით განათებისა
და
მხოლოდ ერთი წარმო-
მადგენელი ქუთ. და ი.
მის მაზრისა ამ მშვენი-
ერ ხანგმლივ ფარნებისა
იგა ი. ნ.
უფრთხილდით მიმსგავსებას
მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი ტელეფონი № 18.

აქიმი ი. ჩარექოვი.
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

აქიმი ვ. ი. ფიშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მ. ბალანჩივაძისა
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.
გენერლის ქუჩა აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

დღიური.

რუმინიის ელჩმა სომხებისა და ქურთების შესახებ პორტას ნოტა ჩააბარა.

— სტამბოლიდან ხომალდით კავკასიის საზღვრებზე ტყვიის მტყორცნელები გამოგზავნეს.

— მახმუდ-შეფკეტ-ფაშამ ოფიციალურად გააცხადა — ადრიანოპოლს ვერავის დაუთმობთ და კონტრიბუციის მიცემა კი არ შეგვიძლიაო.

— ოსმალეთის მთავრობა დარწმუნებულია — ექვს თვეს კიდევ შეუძლია იომოს.

— საბანკო სახლმა „დრეიფუსმა“ ოსმალეთს წინადადება მისცა: თუ მშვიდობიანობა დამყარდება 12 მილიონ ლირას მოგცემ სესხათო.

— ოსმალეთის ჯარში არეულობამ ისევ იჩინა თავი. მოითხოვენ ნაზიმ-ფაშას მკვლელების დასჯას.

— ახალგაზდა ოსმალთა პარტია სასტიკ დიკტატორობას იჩენს. აპატიმრებს და სჯის ყველა იმათ, ვინც მათ წინააღმდეგ მოქმედობს.

— ამნისტიამ სხვათაშორის რუსი მწერლები პეშეხონოვი და მოროზოვი გაათავისუფლა.

— იანინთან ბრძოლის დროს ბერძნებმა 5000 კაცი დაკარგეს.

— შავმთიელეთი ოფიციალურად აცხადებს — თუ სკუტარი არ დაგვითმეს, ისე მშვიდობიანობა შეუძლებელიაო.

— საფრანგეთის პარლამენტში ახალი სამხედრო კანონ-პროექტს იხილავენ, სოციალისტმა დეპუტატებმა ამ კანონ-პროექტის განხილვის დროს დემონსტრაცია მოახდინეს.

„ადგილის“ მეძიებელნი.

ნეტაი თუ არის იმისთანა კაცი, რომ ორიოდე გავლენიან პირს იცნობდეს და შეწუხებული არ იყოს მთხოვნელთა გამუდმებული ხვეწნა-მუდარით, გვიშველე, გვიშუამდგომლე ვისთანმე, „რამე ადგილი“ გვაშოვნიეო.

და, რომ კითხო, სახელდობრ რა ადგილს ეძებს, ხშირათ თვითონაც ვერ მოგიგებს გადაწყვეტილ პასუხს. „სადმე კანტორაში, ან მუშების თავმდებობა ან ამა და ამ დაწესებულებაში ეკონომობა და, თუ არც ერთი არ იქნება, იქნება დარაჯობა მაინც მიშოვოო“ მოგახსენებს.

ოცდახუთმანეთიან ადგილს ეცილებიან ერთმანეთს მოხუცი და ახალგაზდა, ნასწავლი და უსწავლელი.

ერთ „ადგილზე“ ასი მთხოვნელია!

და, ვგონებ, რომ იყოს საკმაო „ადგილი მთელი საქართველო აიყრებოდა და ამ „ადგილებში“ ჩადგებოდა.

ყმაწვილ კაცს გააჩნია სოფლათ სახლკარი, მამული, უძრავი და მოძრავი ქონება. მაგრამ პირიქით ეზარება მიწის მუშაობა და გარბის ქალაქში.

იქნება თუმნიან ადგილს მაინც წავაწყდე სადმეო.

მოხუცებულ მამას, რომელიც ბედნიერათ უნდა სთვლიდეს თავს, თუ მხარში ამოუდგა შვილი, გაუწია შრომის უღელი და შეუმსუბუქა მძიმე ტვირთი, უბედურათ მიაჩნია თავი და ყოველ ღონესა ხმარობს, რომ მოსწყვიტოს შვილი ოჯახს, გააძევოს ქალაქს „ადგილის“ საშოვრათ. ხშირათ შემოუჩივლია ჩემთვის ამისთანა კაცს: „დევილუპე ბატონო, კაკალი კაცი! ჩემი საცხოვრებელი თან გადავატანე; თავი გავიდარი- [illegible] აზნაურიშვილი [illegible] არ იქნებოდა; მეგონა დამასაჩ[illegible]ლებდა, გამახარებდა; რავა ვიფიქრებდი, თუ „სუდებნი პრისტავობას“ მაინც ვერ იშოვიდა; ახლა კი ჩამიჯდა, ბატონო, სახლში და ჩამცივებია უნდა ვიმუშაოო, ოჯახი ახალ პლანზე უნდა მოვაწყოო. შენს მტერს, იმან სახლში ვერაფერი გააკეთოს, თუ რასმე წაახდენს თვარა... მოიხილოვე ღმერთი, შეიბრალე ჩემი სიბერე, უშოვე ჩემ შვილს რამე ადგილიო“ და სხ.

სოფელს გაურბიან, ქალაქი ანდამატივით იზიდავს ხალხს.

მაგრამ ბევრია მძებნელი და ცოტაა „ადგილის“ მომპოებელი!

ამ სამწუხარო მოვლენის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ის არის, რომ გლეხს ფული სჭირდება და ერთს ან ორ შვილს ფულათ აქირავებს, ე. ი. მოსამსახურეთ აყენებს. სამსახურში აღზდილი კი მიწის მუშათ აღარ ვარგა.

აუარებელი მოსამსახურეა გადახვეწილი სოფლიდან. და მათი რიცხვი ისე სწრაფათ იზდება, რომ წინ უსწრებს მოთხოვნილებას.

ამგვარათ იბადება მოჭარბებული სიმრავლე ადგილის მეძიებელთა.

მეორე დიდი წყარო, რომელიც შობს „ადგილის“ მეძიებელთ, შკოლებია.

სასოფლო და სამოქალაქო შკოლებში არ ასწავლიან მიწის მუშაობასა და ხელოსნობას. ბავშები მხოლოდ არაკებს ზეპირობენ თუთიყუშებივით და, თუ არ განაგრძეს სწავლა, მთლათ დაბნეული აქვთ გზაკვალი: აღარც მამაპაპისეული მუშაობისთვის ერჩისთ გული და ვერც არაფერს სხვა საქმეს ეკიდებიან. და, რასაკვირველია, თითქმის მთელი ეს სიმრავლე ახალთაობისა და გაფაციცებით ეძებს „რამე ადგილს“.

უკეთესათ არც გიმნაზიებსა და ინსტიტუტებშია საქმე. მუშაობას არც აქ ასწავლიან და უსარგებლო მწიგნობრული სქოლასტიკური სწავლას აქვს დათმობილი ადგილი. გიმნაზიელმა თუ უნივერსიტეტი არ გაათავა და დიპლომი არ მიიღო, იმაზე უფრო საცოდავი კაცი არ იქნება! და, რადგან ას მოსწავლეში მარტო ხუთი ასრულებს კურს და დანარჩენები კი ირიცხებიან უმცრო

კლასებიდან, ესენიც ემატებიან „ადგილის“ მეძიებელთა რიცხვს.

დიახ! ამგვარათ უმუშევართა და უადგილოთა აუარებელ სიმრავლეს შობს ჩვენს შკოლებში გამეფებული სისტემა.

მაშასადამე, თუ გვინდა შემოვუაროთ ამ ჭირსა და გავიკურნოთ თავი, უნდა ვებრძოლოთ მიზეზს ხსენებული მოვლენისას.

ნუღა გავამრავლებთ სამოქალაქო სასწავლებლებსა და კლასიკურ გიმნაზიებს! კმარა ამდენი შეცთომა! დავიარსოთ სამეურნეო სასწავლებელნი!

ქიათურის მრეწველები კარგს იზამენ, რომ აგრონომიულ-ტეხნიკურათ გადააკეთებდენ სამოქალაქო სასწავლებელს.

რით არის კარგი სამეურნეო სასწავლებელი? იმით, რომ რეალურ ცოდნას ანიჭებს მოსწავლეს, გიმნაზიელს, თუ არ დაასრულა კურსი და არ მიიღო „სიმწიფის“ მოწმობა, შვიდი კლასიც რომ გაიაროს, ტყვილა დაეკარგება მთელი მისი შრომა. სამეურნეო შკოლის მოწაფე კი, მეორე კლასიდანაც რომ გამოვიდეს, მაინც აღჭურვილი იქნება პრაქტიკული, ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნით და „ადგილის“ საშოვრათ კი არ გადავარდება, არამედ მიწის მუშაობას მოკიდებს ხელს, წარმოებას გააუმჯობესებს.

სამეურნეო სასწავლებლები რომ გვქონოდა გიმნაზიებისა და ინსტიტუტების ნაცვლათ, ჩვენი ქვეყანა დღეს გადაბარჩული იქნებოდა.

და ჩვენს ქვეყანაში, რომელიც დანიშნულია მიწის მუშაობისათვის ბუნებით, დაეტევა თუნდ ათი მილიონი მცხოვრები, ჩამორჩენილი რომ არ იყოს მეურნეობა.

განვითარებული მეურნეობა მიიზიდავს ათჯერ მეტ მუშა ხელს, ვიდრე ჩამორჩენილი და თან ხელს შეუწყობს ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდასა და აყვავებას.

განვიმეორებ: მიწაა ჩვენი სიმდიდრის წყარო და მხოლოდ განვითარებულ მეურნეობას შეუძლია ჩვენი ხსნა.

რასაკვირველია, ჩვენ მიერ აღნიშნული საშვალება არ არის, ერთადერთი. მოიპოვება ბევრი სხვაც, რომლის გამოც [illegible] საუბარი და კიდევაც გვექნება.

ურო.

ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნიის 1 რაიონის სახალხო შკოლების ინსპეკტორი ვ. გროზდოვი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ის თანახმაა ნება დართოს ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილს სიმონ მჭედლიძეს აასრულოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქის სასწავლებელში მასწავლებლის თანამდებობა. ქალაქის გამგეობამ უკვე აცნობა ეს ამბავი ბ-ნს მჭედლიძეს და სთხოვა დაუყოვნებლივ შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ თფილისის ქუჩაზე ხე-ტყის საწყობების პატრონებს თხოვნით მიუმართავთ ქალაქის საბჭოსათვის შესახებ იმისა, რომ ნება მიეცეთ მათ შემდეგშიც იქონიონ ხე-ტყის საწყობები ხსენებულ ქუჩაზე.

◆ 25 თებერვალს, ქალაქის გამგეობამ რომანოვების გვარეულობის მეფობის 300 წლის აღსანიშნავათ 300 მანეთი დაურიგა ქალაქის ულარიბეს მცხოვრებლებს.

◆ ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი სხდომა დანიშნულია 4 მარტისათვის.

◆ ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო კომისიის მიერ არჩეულმა პირებმა დაათვალიერეს და ამოირჩიეს გადამდებსენითა საავათმყოფოს ასაგები ადგილი სალორიის აგარაკში, ქალაქის ახალი საავათმყოფოს გვერდით.

◆ ამ დღეებში მოხდება არჩევნი ქალაქის სასანიტარო ექიმისა.

◆ ქიათურიდან შავი-ქვის გაზიდვა წარსულ კვირაში შემდეგი იყო: თებერვლის 17 გაიზიდა 353 ვაგონი, 18—346 ვაგ., 19—338 ვაგ., 20—284 ვაგ., 21—140 ვაგ., 22—206 ვაგ., 23—336 ვაგ. თითო ვაგონს 750 ფუთი გადააქვს.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „კავკაზსკაია შკოლის“ იანვრის ნუმერი, რომელიც 1913 წლიდან გამოდის თფილისში.

◆ სეზონი დამთავრდა და ჩვენს მსახიობებს მოლაპარაკება ქონდათ გაზაფხულის სეზონის გაგრძელების თაობაზე. გადაწყვიტეს—ზაფხულის სეზონი ნააღდგომევს გახსნან. დასი დრამატიული საზოგადოების დამოუკიდებლათ გამართავს წარმოდგენებს. დრამატიული საზოგადოება შეპირებია დასს ერთდროულათ 300 მანეთით დახმარებას. მიზან სცენების შესასწავლათ დასის რეჟისორი ქორელი ამ დღეებში რუსეთს მიდის.

◆ გასულ კვირას [illegible] ქართულ გიმნაზიაში [illegible] ლიტერატურო და სამუსიკო დილა გაიმართა. ქართლ-კახეთის ბუნებასა და ცხოვრებაზე ექსკურსანტ მოწაფეებმა რეფერატები წაიკითხეს. იყო ლექსების კითხვა, მუსიკა; დილა შინაარსიანი გამოდგა.

◆ სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვაზე კავკასიის რეფორმების შესახებ ნამესტნიკისა და იუსტიციის მინისტრის პასუხს სახელმწიფო საბჭო ამ კვირაში განიხილავს.

◆ 1914 წლიდან განჯაში სამასწავლებლო ინსტიტუტი გაიხსნება.

◆ გასულ დღესასწაულებზე თფილისში პოლიციას შეუპყრია ჯიბგირების რამდენიმე ბელადი. იმათ სიტყვა მიუციათ პოლიციისათვის, ოღონდ გაგვათავისუფლეთ, და სიტყვას გაძლევთ, თუმცა კა[illegible] რთველია მოსალოდნელი, ამ დღეებში არ ვიქურდებთო. მართლაც ყველა გაუშვიათ და იმ სამ დღეს თფილისში ჯიბგირობა აკვეცილა.

◆ დროებით შეჩერდა გორის ქართული გაზეთი „ქართლი“ და თფილისისა „ჩვენი დროება“.

◆ საბურთალოს მემამულეებს ხიმშიაშვილებს, გაბაშვილებს და სხვათ თფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის 200 დესეტინა მიწა შეუწირავთ, იმ პირობით, თუ პოლიტეხნიკუმის შენობა საბურთალოზე, ან იმის მახლობლათ აიგებაო. თფილისის გაზეთებში ცნობა იყო იმის თაობაზე, რომ ნავთლუღი უვარგისია პოლიტეხნიკუმისთვისაო.

◆ თფილისის სამოსამართლო პალატის სესია ამ ჟამათ ქუთაისში არჩევს საქმეებს. ორშაბათს, სხვათა შორის, გაარჩიეს:

გერმანე და ანტონ ფარცვანიას და გიორგი და მაქსიმე კეტელავას საქმე. ამათ ბრალდებოდათ თავდასხმა. პალატამ დაამტკიცა ქ. ოლქის სასამ. განაჩენი, რომლითაც გ. ფარცვანიას 10 წლის კატორგა ქონდა გადაწყვეტილი, სხვებს კი ოთხოთხი წლისა.

ლასა მანწკავას საქმე. ოლქის სასამართლოდან მას 8 წ. კატორგა ქონდა გადაწყვეტილი. პალატამ გაამართლა. მანწკავა ორი წელიწადია ციხეში ზის.

ეგუტიძისა და შვილდაძეების საქმე, რომელთაც სხვადასხვა ვადის კატორგა აქვთ გადაწყვეტილი, ებრაელებზე თავდასხმისთვის, პალატამ ვექილის მოთხოვნილებით გადასდვა.

აგრეთვე გადაიდვა ბიქტორ გოცირიძისა და ნ. ჯანელიძის საქმე ფულის თაობაზე.

◆ თავ. პავ. თუმანიშვილსა და აკაკი ხოშტარიას კონცესია აუღიათ ჩრდილოეთ-სპარსეთში რამდენსამე ქალაქს შუა ავტომობილებით მიმოსვლისა.

◆ [illegible] მეტეხის ციხეში [illegible] ყოფნის დროს ანტ. ფურცელაძის რომანი „მაცი ხვიტია“ დრამათ გადაუკეთებია.

მიწერილი ამბავი

დ. აბაშა (ოდიში).

15 თებერვალს მომხმარებელი საზოგადოების ანგარიშის წევრთა საგანგებო კრება მოხდა. კრებაზე გადაწყვიტეს ნოსირში და ქვალონბანში საზოგადოების განყოფილება გაიხსნას. ამისთვის საჭიროა პირველი სოფლის მცხოვრებლებმა 400 მანეთი საპაიო ფული შემოიტანონ, ხოლო მეორე სოფლიდან კი 50 წევრის მთავარ საზოგადოებაში ჩაწერა. გამგეობის წევრებს შრომის ფასათ წმინდა მოგებიდან 40% მიეცემა. ამავე დღეს სხვა საკითხების გარჩევას შემდეგ მოხდა საბჭოს და გამგეობის წევრთა არჩევანიც.

ს. ამაშუკეთი.

აქ სამკითხველო, ორკლასიანი სასწავლებელი და სახელმწიფო აფთიაქი არსებობს. სამკითხველოს საქმეები ვერ არის კარგათ დაყენებული. ამ დაწესებულების საქმეს ყველა გულცივათ ეკიდება.

ს. მაღლაკი (ქვემო იმერეთი).

რომანოვების გვარეულობის იუბილეს დღის აღსანიშნავათ 23 თებერვალს სალიტერატურო დილა გაიმართა. მასწავლებლებმა რომანოვის გვარეულობაზე რეფერატები წაიკითხეს. წააკითხეს მოწაფეებს ჩვენი მწერლების ლექსები. დილას ხალხი ბლომად დაესწრო.

ს. ჭილოვანი.

აქ არსებობს სამრევლო შკოლა. ამ შკოლას ა. წერეთელმა 20 მანეთი შემოსწირა მოწაფეთა სუფრების საყიდლათ. მანვე გამოუწერა შკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, რისთვისაც მასწავლებელი ტყემალაძე მადლობას უცხადებს.

ს. ეწერ-ბაში (ქვემო იმერეთი).

წრევანდელი ცუდი მოსავალი ახლა თანდათან უფრო დაეტყო ხალხს, რომელიც ეკონომიურათ დიდ განსაცთელშია. სოფელში ორ გლეხსაც ვერ ნახავთ, რომ სიმიდის ყიდვა არ უხდებოდეს. წელს ამას ზედაერთო გადიდებული სასოფლო ხარჯები. მოკრიბეს ეკლესიის დასახურავი ფული, შკოლის შენობაც წელს აიგეს. გზები აქეთ ძლიერ ცუდია. სწავლა შკოლაში 1881 წლის პლანის მიხედვით არ სწარმოებს.

ჩემი აღსარება.

ამ ერთი თვის წინათ ერთმა ჩემმა ამხანაგმა დამპატიჟა; იქ სხვებიც იყვენ მიწვეული. სხვათა შორის, ერთი წვეულთაგანი ესდეკი იყო, ჩემი კარგი ნაცნობი, რომელიც შემეკითხა:—რისთვის გამოდი ესდეკების ბანაკიდან, და მიეკედლე ესფერებსაო. მე ვუპასუხე—ამ საგანზე ნება მომეცი სხვა დროს თავისუფლად მოგელაპარაკო-მეთქი. მაგრამ, რადგან დაჟინებით მთხოვდა პასუხს, მეც იძულებული გავხდი მეთქვა მიზეზი ესდეკების ბანაკიდან გამოსვლისა და მოუყევი:

უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ეროვნულ საკითხში ვერ შევეთანხმე ესდეკებს; მეორე—სოფლის მშრომელ ხალხს, გლეხობას თავიანთ პროგრამმას უმალავენ; მესამე ესდეკების პარტიაში არიან ისეთი პირები, რომელნიც მოკლებული არიან ზნეობასა და ყოველსავე კაცურ სიკეთეს, მაგრამ პარტიაში მაინც საპატიო ადგილი უჭირავთ და დიდათ პატივცემულნიც არიან; მეოთხე—დიდი ხანია თვალყურს ვადევნებ ესფერების პარტიას, სადაც დავინახე გულწრფელი მებრძოლ ნი, რომელნიც მზათ არიან თავი შეს რონ დაბეჩავებული ხალხის უფლებ აღდგენას. აგრეთვე ესფერებში [illegible] ხალხის [illegible] ინტერესების დამცველნი. ამას [illegible] ეს ის არის რომ სხვა პარტ პატიოსანი კეთილშობილი ადამიან პიროვნებას ტალახში სვრიან და მშრ მელი ხალხის მძარცველ მგლ ლის სახელით ნათლავენ. მართალი ესდეკებშიც არიან ისეთნი, რომელნი წინააღმდეგი არიან ასეთი ცილის წამ ბისა, მაგრამ, რადგან უმრავლესობა მო ხრეა ასეთი უმზგავსო ლანძღვა-გინებ ამისათვის უმცირესობას არაფერი გ დის. ყველა ეს მე გამოცდილებით ვიც შემიძლია ავნუსხო, თუ საჭიროება მო თხოვს.

აი, ეს გახლავთ მიზეზი ჩემი პარტ დან გამოსვლისა მეთქი.

ახლა რაც შეეხება, ამ წერილის ბეჭდვას, შეიძლება მეტიჩრობათაც ჩა მართვას, რადგან, იქნება, იმდენათ ს ტერესოც არ იყოს მე ანუ სხვა რა პარტიას ვეკუთვნით, მაგრამ როდ „მერცხალში“ მასწავლებლის ქ—ძეს რილი წავიკითხე, ამან მაიძულა გულწრფელი აღსარება მეთქვა*)

დასასრულ არ შემიძლია ორი სიტყვა არ ვუთხრა ერთს ესდეკს კარგს ნაცნობს დ—ი ბ—ძეს, როგო გადმომცეს, როდესაც მას გაუგია დასელების პარტიიდან გამოსვლა, ვამს:—პიპინია მიქელაძე იმისათვის გ სულა თურმე ესფერებისაკენ, რომ აზნაურო ბანკის ყველა უფროსები ეს რები არიანო და მათკენ რომ არ გ სულიყო, სამსახურის გამო არ შეეძ ვო. მართალი მოგახსენოთ, ამ ნათქვ ძლიერ გამაკვირვა, რადგან დ—ი ბ— მე კარგათ მიცნობდა და მეც მას დ დი მართალ კაცათ ვიცნობ და ას სიყალბე ჩემთვის არ უნდა შეეწამ ვინც მას ეს ამბავი გადასცა ერთობ ცთომაში შეუყვანია: ჯერ რომ სიმ ლე არაა ბანკის უფროსების ესფე და შემდეგ კიდევ უმრავლესობა ბან მოსამსახურეებისა ხომ ესდეკები არ მაგრამ ისინი ჯერ სამსახურიდან არა დაუთხოვია, და ისეც რომ იყოს, გორც მას უთქვამს, იმ შემთხვევა ჩემს რწმენაზე ვერც ბანკის სამსახური ვერც შიმშილ-წყურვილი გავლენას მოახდენდა.

პიპინია მაქელაძ

---

*) ფრიად საგულისხმოა ვიცოდეთ,— გან ამოფარებია ამ ინიციალს—ქ—ძეს, კაცია, იყო კი ოდესმე იგი ესფერო, თუ ჩვე დებრივი წმინდა წყლის თინა, რომ არა ვთქვათ ჩვენებური ესდეკების. პ. მ

კიდევ ერთი ზედმეტი განმარტება.

(პასუხათ „მერცხალს“ და მის თანამშრომლებს).

ბრძანებთ, თავად-აზნაურობას ვებრძვით და არა ვედავებითო და ამიტომაც მასთან სათხოვარი არაფერი გვაქვსო. თუ სათხოვარი არაფერი გაქვთ, აბა, როგორ აპირობთ სანადელო ფულების ხელში ჩაგდებას თქვენი პროექტის განსახორციელებლათ? გვასწავლეთ, ღვთის გულისათვის, ეს გზა, იქნებ ჩვენც გამოგვყვეთ. ექსპროპრიაციით, ალბათ, არც თქვენ ფიქრობთ ამ ფულის დაპყრობას, თორემ კომისიების საშუალებით საქმის გადაწყვეტაზე სიტყვას არ ჩამოაგდებდით. სხვა რა საშვალება გაქვთ, რომ ბრძოლის ნიადაგზე გადაგაქვთ საკითხი? თუ თავად-აზნაურობას ებრძვით ამ ფულებისათვის, ჩვენ ეს ბრძოლა ასე გვესმის—მოპირდაპირის ნების წინააღმდეგ, ძალის საშუალებით ჩამოართვათ მას ის, რაც ამ ბრძოლის საგანს შეადგენს. ასეთ ძალათ ან ექსპროპრიაცია გამოდგება ან ხელჩართული ომი. მაგრამ, თუ არა ვცდები, არაფერს ამის მზგავს თქვენ არ აპირობთ.

ჰო, არის კიდევ ერთი ძალა—ფსიქიური ძალა, ფსიქიური ზედგავლენა. მაგრამ, ვგონებ, ეს ძალა თხოვნით იწყება, დაჯერებით, დარწმუნებით წარმოებს და ბოლოს საქმე მშვიდობიანათ თავდება, ხშირად იმის სასარგებლოთ, ვისაც ეს სხვისი დარწმუნება თავს უდვია. მაშასადამე, არც აქ არის ის ბრძოლა, რომლის საშუალებით თქვენ გსურთ თავად-აზნაურობას ნადელებიდან აღებული ფული დააგდებიოთ.

გაიძახით, თავად-აზნაურობასთან „სადავო არაფერი გვაქვს, მას ვებრძვით და არა ვედავებითო“ და იმავე დროს კომისიით გნებავთ საქმე გადაწყვიტოთ. ისეთი კომისიით, რომელშიაც თავად-აზნაურთა წარმომადგენელნიც შედიან. ეს არის ბრძოლა? ეს ხომ თხოვნაა? მებრძოლი თავის მოპირდაპირეს ჩაირევს ბრძოლით გადასწყვეტ საქმეში, ხმას მისცემს მას? მებრძოლი შეთანხმებაზე ან მორიგებაზე საუბარს გაუმართავს თავის მოპირდაპირეს? მებრძოლი ხომ იგივე ფალავანია? გაგიგონიათ როდისმე, ფალავანი ფალავანს აზრს ეკითხებოდეს—აი, ძმაო, დღეს შენი დაცემა მწადია და, აბა, მითხარი, თანახმა ხარ თუ არა ასეთი დაცემისაო?

ან და ვსთქვათ, კომისიით*) საქმის წყვეტაც ბრძოლაა. ვსთქვათ, ამ კომისიამ გარდაწყვიტა—ჩამოერთვას თავად-აზნაურობას ნადელებში ასაღები ფული და გლეხობას გადაეცეს ჩამონაჭრების შესახსნელათ. თავად-აზნაურობამ რომ არ შეასრულოს ეს გარდაწყვეტილება, მაშინ რას იტყვით? რა ძალა გაქვთ შესრულებინოთ? ხომ ისევ თხოვნით უნდა გაათავოთ საქმე ან და სრულიად ხელი აიღოთ ამ საქმეზე?

მართალიაო ამბობთ თქვენ. რომ ჩვენ წინადადებას თავად-აზნაურთა წოდება კეთილის ნებით არაოდეს არ დასთანხმდება, მაგრამ ამასთანავე მით იმედოვნებთ, რომ „ისტორიამ სამაგიეროთ იცის ბევრი ისეთი მომენტები, როცა გარემოებათა ძალდატანებით გაბატონებულ კლასს ხელი აუღია ბევრ თავის პრივილეგიაზე, რასაც ის ჩვეულებრივ პირობებში, რასაკვირველია, არაოდეს არ იზამდაო“. რომელ გარემოებათა ძალდატანებაზე ლაპარაკობთ, აგვიხსენით? რომელი ისეთი გარემოება ახლა, რომ ამ გარემოებათა ძალდატანების იმედი გვქონდეს? ან რით არ არის თავად-აზნაურობისათვის ამ ჟამათ ჩვეულებრივი პირობები? თავად-აზნაურობა, ვგონებ, არას დროს არ გრძნობდა თავის თავს ისე გულმაგრათ და მკვიდრათ, როგორც დღეს, და ნუ თუ ეს პირობები არ გვეუბნებიან, რომ დღეს ის მომენტი არ არის, როდესაც გარემოებათა ძალდატანებით კლასი ხელს იღებს თავის პრივილეგიაზე?

არა, სჯობს ამ შემთხვევაში ბრძოლას თავი დავანებოთ, რაკი, სიტყვის გარდა, თქვენ საბრძოლველათ ხელში არაფერი გქონიათ და ისევ თქვენ მიერ დაწუნებულ თხოვნას მივმართოთ, ეგებ ამით მაინც რამე გამოდნეს. თუ ნებას მომცემთ და ყურსაც დამიგდებთ, ერთხელ კიდევ აგიხსნით, რომ დღეს ჩვენ სხვა გზა და სხვა საშუალება არ მოგვეპოვება.

როგორც ვიცით, ხშირად მორალური უფლება ერთია და იურიდიული სხვა. ხშირად მორალსა და იურიდიულ ნორმას ანუ კანონის შორის კონფლიკტია. რასაც პირველი გვიკრძალავს, იმის უფლებას მეორე გვაძლევს. კანონისა და მორალის მორიგებას, მათ ყველა შემთხვევაში შეთანხმებას თანამედროვე იურიდიული მეცნიერება სცდილობს შეძლებისამებრ. მაგრამ დღეს-დღეობით მაინც ფაქტი ფაქტათ რჩება—ხშირად კანონი მორალს არ ეთანაბრება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მორალურათ, სამართლიანობის თვალსაზრისით, როგორც არა ერთხელ ვსთქვით, სანადელო ფული გლეხობისაა, ხოლო იურიდიულათ ის თავად-აზნაურობის საკუთრებაა, რომელსაც ისე წმინდათ და თავგამოდებით იცავენ სახელმწიფო კანონები, როგორც არც ერთს ინსტიტუტს, ვინაიდან კერძო საკუთრება დღევანდელი ბურჟუაზიულ წესწყობილების ქვაკუთხედია.

რამდენიც არ უნდა ვიყვიროთ ჩვენ და თქვენ, ამ „ხელშეუხლებელ“ საკუთრებას მარტო ყვირილით და მქუხარე ფრაზებით ვერავის წავართმევთ. სხვა გზა კი აქ, ისე, როგორც სხვა შემთხვევებშიც, ჩვენთვის დღეს შეკრულია, ჩვენ წინ დიდი ზღუდეა ამართული, რომლის დანგრევას ბევრი შრომა და დრო სჭირია...

თქვენც ხომ იცით, რომ საქმე ასეა დღესდღეობით და მაინც გაყვირით უწინდებურათ—აი ჩვენ ბრძოლის ხალხი ვართო და „ნაციონალისტები“ კი თხოვნისაო“.

დე, თუნდ ესეც ასე იყოს თქვენი გულის დასაამებლათ. და ჩვენ კი კვლავ გეტყვით—სხვა გზა არ ვიცით თავად-აზნაურობის იურიდიულ საკუთრების მოსაპოვებლათ, გარდა იმისა, რომელსაც თვით მესაკუთრეც დაადგება. დიახ, ჩვენ ხელთ არის მხოლოდ ისეთი გეგმის დასხვა, რომელსაც თავად-აზნაურო მიიღებს და შეიწყნარებს, ამას გვკა ხებს თანამედროვე კონკრეტული ლური პირობები და ის კეთილგონი ბა, რომელიც დროსა, გარემოებას სივრცეს ანგარიშს უწევს ხოლმე. გვიკარნახებს ტაქტიკური მოსაზრე მომენტისა, რათა სულაც არ გამო თხოვონ იმ სხვადასხვანაირ პროექტ რომელნიც რაიმე საერთო-სასარგებ თანხის შედგენას გულისხმობენ. კურთხეულნო, „ტაქტიკური მოსაზრ ნით“ კომპრომისებში ისე შორს მიდ დით, რომ პოლიტიკურ ავტონომი კი უარყოფდით, და ჩვენ რომ ამგვა მოსაზრებანით ისეთი გეგმა შემოვ ნოთ, რომელიც, სხვათა შორის, თა აზნაურობის ინტერესებსაც დაიცავს, თომ რა დიდ დანაშაულს ჩავიდ ან კიდევ, როგორც თვითონ ალია თქვენ ერთი ისეთი დიდი და კარ ლური მოთხოვნილების წამოყენება გეძლოთ თურმე, რომელიც ერთი რით სწყვეტს აგრარულ საკითხს, მა ამას არ შვრებით, ალბად იმიტომ, დრო და გარემოება ხელს არ გიწ ამისათვის. ხოლო თუ ამ დროსა და რემოებას ჩვენ ვუწევთ ანგარიშს და მიხედვით ვამბობთ—თავად-აზნაურ გან სანადელო ფულების ძალით ჩამ მევაზე დღეს ლაპარაკი არ შეიძლ თქო,—აქ თქვენ რა და რა იდუმალ ზრახვას არ ხედავთ?

არა, თქვენ მოქმედებასა და სიტყ ლოლიკურ მთლიანობას ვერ ვხ თვარა რატომ ჩამონაჭრების მოსაპ ლათ ბრძოლას აცხადებთ, და მ შემთხვევაში კი ეს ბრძოლის გზა

---

*) გაუგებრობის ასაცილებლათ აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ არა თუ წინააღმდეგი არა ვართ, პირიქით, უპირატესობას ვაძლევთ ისეთ შერეულ კომისიას, რომელშიც, თავ.-აზნაურთა წარმომადგენლების გარდა, გლეხობის და ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც შევლენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეში.

ტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

ომი ბალკანეთზე.

ნა. დიადოხი იანინიდან იტყობინე- ბერძენთა რაზმმა პარამიფია დაიკა-

ნდონი. პარლამენტის ახალი სესიის ს დროს, მეფემ სიტყვა წარმოსთქვა, მშიც აღნიშნა უცხო სახელმწიფო- ინგლისის მეგობრული დამოკიდე- ბა. შემდეგ მეფე ბალკანეთის სა- ც შეეხო და მწუხარება გამოსთქვა შესახებ, რომ ლონდონის სამშვი- მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაია- მაგრამ იმედი გვაქვს—დიდი სახელ- ების ურთიერთ შორის თათბირი შეუწყობს, როგორც ერთმანეთის ნობას, ისე ომის საჩქაროთ დასრუ- ო. ჩემი მთავრობა, სთქვა მეფემ, ძობს სხვა სახელმწიფოებთან მე- ლ მუშაობას და გულწრფელი ლით ევროპის მშვიდობას უზრუნ- ყოფს.

საზღვარგარეთი.

ავტომობილი, რომლითაც შინა- საქმეთა მინისტრი გეინშოლდი მოგ- რობდა ქვედა ავსტრია-უნგრეთის სა- კენ, ხრამში გადავარდა და მინის- მსუბუქათ დაშავდა.

დონი. რუსეთის კოლონიის წარმო- ელთა თაოსნობით სასტუმრო ეს- ში რომანოვების გვარეულობის ლის იუბილეს გამო ბანკეტი გაი- დაესწრო, სხვათა შორის, ელჩი ვი, რომელმაც რუსეთისა და გერ- იმპერატორების სადღეგრძელო გუნდმა რუსულ-გერმანული ეროვ- ჰიმნები შეასრულა. დამსწრეთა ით ელჩმა დეპეშით მიულოცა ხელ- დღესასწაული.

ოთ. კაცურას ყოფილი კაბინეტის რიზმა „კოკუმინმა“ მოათავსა მთე- ვი წერილებისა, რომელშიც აღ- რუსეთისა და მონგოლეთის აგ- ლ პოლიტიკას, ფაკტიურათ მიმარ- რუსეთის ელჩებისაკენ. ოფიციო- თხოვს, რომ იამამოტოს კაბინეტმა ვლიეთ მონგოლეთსა და იაპონია- რიას შორის არსებული დამოკიდე- ბა გამოარკვიოს.

რიდი. საოლქო საბჭოს გუშინდელ ნის დროს პროვინციებში აირჩიეს ლიბერალი, 55 კონსერვატორი, 8 ბლიკანელი და 20 კათოლიკე. მი- -პრეზიდენტმა პირადათ მოახსენა —მონარქისტებმა გაიმარჯვესო. სხვა ებში და ბასკის პროვინციებში ქისტებსა და რესპუბლიკანელთა შეტაკების დროს ბევრი დაატუ-

ვენა. შუმანის ცირკში ჩეხელთა წარმოდგენის გამო ჩეხთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოხდა, რასაც შეტაკება, ბევრის დაშავება და 20 კაცის დატუსაღება მოყვა.

ვენაში და თითქმის ყველა პროვინციის ქალაქში მასიური კრებები იმართება, სადაც სოციალ-დემოკრატების თაოსნობით ქალთათვის საარჩევნო უფლების მიცემას მოითხოვენ.

რუსეთი.

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს წევრს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს დიმიტრიევ-მამონოვს უმაღლესათ უფლება ებოძა ისარგებლოს გრაფის ხარისხით, რომელსაც მისი შორეული ნათესავი დიმიტრიევ—მამონოვი ატარებდა ჵ 1788 წ. რომის იმპერატორისა და ეკატერინე მეორისაგან დამოწმებული ყოფილა.

გზათა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წინადადება წარადგინა, რომ ხაზინის ხარჯით აშენდეს რკინიგზის ლიანდაგი ხარკოვიდან ხერსონამდი.

დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის კანტორაში ჰაერის ფლოტის სასარგებლოთ 1913 წ. 1 იანვრიდან 31 იანვრამდი 15,751 მანეთის შემოწირულება შემოსულა.

სახელმწიფო სათათბიროს სახალხო განათლების საქმეთა კომისიამ განიხილა კანონ-პროექტი, რომლის ძალით განათლების მინისტრის განკარგულებით სახალხო პირველ-დაწყებითი განათლებისათვის რვა მილიონი მანეთი უნდა გადაედვათ დამატებით კრედიტათ, და დაადგინა ეს კრედიტი 10 მილიონამდი გაადიდოს. ამასთანვე აზრი გამოსთქვა, რომ საშკოლო ფონდი პეტრე დიდის სახელობაზე 8 მილიონიდან 14 მილიონამდი გადიდდესო.

მოსკოვი. სამხედრო საოლქო სასამართლო მოსკოვის საოლქო ინტენდანტთა სამართველოს უფროსის ოსოვეცკის საქმის გარჩევას შეუდგა. რომელსაც ბრალს სდებენ ფულის გაფლანგვასა, მექრთამეობასა და ანგარებაში.

პეტერბურგი. ხივის ხანმა პეტერბურგის ღარიბთა სასარგებლოთ ათასი მანეთი შესწირა.

ბუხარიის ემირმა მისი თანაგრძნობის. და საქველ-მოქმედო მოღვაწეობისათვის რუსეთის ქვეშევრდომთა სასარგებლოთ ხელმწიფისაგან უმაღლესი რესკრიპტი და მადლობა მიიღო.

◆

სევდის ღამეში.

მწუხარე ღამით, სევდის დუმილში
მეჭიანურის ჩამომესმის ხმა,
მეჭიანურე მოსთქვამს იმაზე,
ტრფობის ყვავილი, თუ როგორ გახმა.
შავი ფიქრების, შავი გრეხილი
შემოეჭარგა ჩემდა მაშვრალ სულს
დავიწყებული ადგენ აჩრდილნი
და გაეღვიძა დამარხულ წარსულს.
მე კი მეგონა, რომ ყველაფერი
დავიწყების ლოდს ამოვაფარე,
მე კი მეგონა წარსული გრძნობის
საიმედოა გულის სამარე.
რა გინდა, ქალო, რად არ მასვენებ?
ერთხელ ხომ გათფი ჩემ სისხლით გკელი.
შენ გამატანე სულის მშვიდობა
და აწი ალერს არვისგან ველი.
—განა არ გეყო მსხვერპლი ესდენი
გაფიცებ, ქალო, ჩამომეხსენი!..
მისი ლანდი კი მაინც იცინის,
თავისკენ მიხმობს აიურს მპირდება;
გულმაცა იგრძნო გრძნეულის ჯადო
და საბუდები აღარ ჩერდება.
მეჭიანურე კვლავ ისე უკრავს,
ღამის სიბნელეს შექვითინებს ხმა,
და ნაღვლიანსა მოუთხრობს ამბავს—
ტრფობის ყვავილი თუ როგორ გახმა...

ტ. ტაბიძე.

ქართული ეროვნული დღესასწაული ჟენევაში.

ამოვიკითხეთ თუ არა ქართულ გაზეთებში ცნობა იმ სამზადისის შესახებ, რომელსაც ეწეოდენ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებანი ბ. ვლ. ალექსი მესხიშვილის სცენაზე ოცდა ათი წლის მოღვაწეობის ასანიშნავათ, ჩვენც შეუდექით თადარიგს, რომ ამ შემთხვევაშიც, მთელ საქართველოსთან ერთად ერთხმ[illegible] გაგვეთვალისწინებია ის დიადი ღვაწლი, რომელიც ჩვენს საყვარელ **ლადოს** მიუძღვის სამშობლოს წინაშე და ღირსეული მიგვეზღო ჩვენი სცენის ქურუმისათვის. ამორჩეულ იქნა საიუბილეო კომისია, რომელსაც თავჯდომარეობდა ჩვენი ახალგაზდა მწერალი ბ. **ლეო ქიაჩელი**... დანიშნულ დროს თავი მოვიყარეთ აქ არსებულ ქართულ ბიბლიოთეკის დარბაზში. შეკრებილიყო თითქმის მთელი კოლონია, თითქმის-მეთქი, ვამბობ, რადგან იმ პირთ, რომელნიც ჩვეულებრივ არ ცხოვრობენ კოლონიაში—არ დაეძებენ მის ავსა და კარგს. ამ შემთხვევაშიაც თავი არ შეიწუხეს და დიდ უმრავლესობასთან ერთათ, პატივი არ ცეს იუბილიარს რომელიც 30 წელი ემსახურებოდა კულტურულ საქმეს. საღამოს ცხრა საათზე გაიხსნა კრება საიუბილეო კომისიის თავჯდომარემ მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვით: ჩვენს დიდა ქალაქ თფილისში დღეს დღესასწაულობენ ჩვენი დიდი მსახიობის ვლ. ა. მესხიშვილის 30 წ. მოღვაწეობას. . თუ ხელოვნების ერთ დარგში, სახელდობრ კაზმულ მწერლობაში. თავი იჩინეს ნ. ბარათაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა, რომელმაც შექნეს ჩვენს ისტორიაში წაუშლელი ეპოქები ეს იმით აიხსნება, რომ ამ დარგს ხელოვნებისას ჩვენში დიდი და მდიდარი ისტორია აქვს და ამ მხრით საკვირველებას არ წარმოადგენენ ხსენებულნი ქურუმნი ქართული ხელოვნებისა.—მათ გზას უმშვენებდენ რუსთაველი, ხონელი, სარგის ჩახრუხაძე,—აგრეთვე გურამიშვილი, [illegible] და სხ. მრავალი.

ხოლო რაც შეეხება სცენას, ამ დარგს ხელოვნებისას სულ მოკლე და ღარიბი ისტორია აქვს. ამიტომაც ერთგვარ საკვირველებას წარმოადგენენ ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი!

თუ სახეში არ მივიღებთ მეფე ერეკლეს დროის „სახისმეტყველების“ ხელოვნებას, რაც სწავლულ და განათლებულ ბატონიშვილებმა გადმოიტანეს უცხოეთიდან და „დიდთა“ გასართობით შემოიღეს მეფის სასახლეში და ერთნაირ ხალხურ წარმოდგენებს, რომლებსაც მართავდა თფილისში ერეკლეს დროსვე ვინმე მაიორი გაბრიელი,—ჩვენი წარსული სცენას არ იცნობს.. მხოლოთ, მოგეხსენებათ, რომ სულ რამოდენიმე წლის უკან ქართული თეატრის არსებობის 50 წ. თავი იყო აღნიშნული. ასეთ მოკლე ისტორია აქვს ჩვენში ამ [illegible] ხელოვნებისას, სადაც ხელოვანნი[illegible] და ჩვენდა საბედნიეროთ ხელოვანი იუბილიარი ლადო მესხიშვილი.

აქ ორატორი მიაქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ჩვენში დაბა და სოფელიც კი არ დარჩენილა, სადაც წარმოდგენები არ იმართებოდეს დროგამოშვებით; რომ ქართული თეატრი, რაც დრო გადის მეტის სისწრაფით ვითარდება და ერის ფართო მასასაც იკრებს გარშემო. „ასეთი ზრდას თეატრისას ჩვენში, განაგრძობს ორატორი, დიდათ შეუწყო ხელი ლადო მესხიშვილმა... თაობათა მთელ წყებას ამ საკვირველის ნიჭით დაჯილდოვებულმა მსახიობმა შეაყვარა თეატრი და საყვარელ საქმეს გზა გაუკაფა ხალხის გულში: ლადო მესხიშვილმა ჩვენი თეატრი აამაღლა ევროპის თეატრის დონეზე და მით უზრუნველყო თეატრის ზრდა-განვითარება ჩვენში. ამაშია დიდი ღირსება იუბილიარისა და დამსახურებულ ხალხის წინაშე“. ორატორი თვალს გადაავლებს ევროპის თეატრს უაღრესათ განვითარებულს, ტაძრათ ქცეულს, რომლის სასხვერპლოზე დაენთო უშრეტი ცეცხლი სათნოებისა და სილამაზისა; სადაც აღინიშნა საუკეთესო მომენტები კაცობრიობის ცხოვრებისა და ღრმა სულიერი განცდაში მსოფლიო გენიოსთა განსახიერდენ; როგორც სიხარული და აღტაცება-იმედი, ისე მჭუნვარება, სასოწარკვეთილება-უიმედობა.

„საჭირო იყო, განაგრძობს ორატორი, რომ ქართველი ხალხიც ზიარებოდა მსოფლიო გენიოსების (შექსპირი, გეტე, შილერი, გიუგო, მოლიერი და სხ.) სულოვანებას და აი მესხიშვილმა არა კალმით, არამედ თვისი სახითა და ტანით თვისი გრძნობითა და სულით — „სახის მეტყველებით“, როგორც ეძახთენ ამ ხელოვნებას ერეკლეს დროს, მიაწოდა ხალხს.

ამას მოყვება მოკლე დახასიათება იმ საკაცობრიო და ეროვნულ გმირთა, რომელთაც იუბილიარი გასაოცარის ნიჭით ასახიერებდა ქართულ სცენაზე და განაგრძო: „ამ მხრივ ფასდაუდებელია ჩვენი ლადოს ღვაწლი ქართველ საზოგადოების წინაშე. იგი იყო და არის ჯერ კიდევ პირველი, ვინც შეძლო ჩვენს სცენაზე გაპიროვნება იმ უკვდავ სახეთა, რომელნიც იყვენ კაცობრიობის საუკეთესო შვილთა გონებაში. განა მესხიშვილის ღვაწლი ამით განისაზღვრება?! მან თავის ნიჭის წყალობით არათუ ევროპის

ღლაც მიგიმალავთ? რატომ, მაგ., ვე კონკრეტულ პროექტებს არ ნთ ყველა მიწების ძალით მემამუ- ან ჩამორთმევაზე და ამ მიწების ოგადოებაზე? განა ეს დროისა და ებისადმი კომპრომისი არ არის? არსებულ პირობებთან ანგარი- წევა არ გახლავთ? მეც რომ თქვენ- ვირჯებოდე, ხომ გეტყოდით—აბა, სოციალიზმი რა დასაჯერებე- როდესაც მარტო ჩამონაჭრებს ჩა- ებიხართ და ისიც კერძო საკუთრე- ნებავთ გადასცეთ გლეხობას! ხედავთ დროსა და სივრცეს რო- დაუმორჩილებიხართ! მაშ რა გან- ბაა ჩვენ შორის? განსხვავება ის რომ ჩვენ ამას თავის სახელს ვუ- თ, შეგნებული თვალით ვუცქერით, კი ეს აქამდი ვერ შეგიგნიათ და ულობთ—ყველგან და ყოველთვის ბრძოლის ხალხი ვართ, ხოლო ონალისტები“ თხოვნისათ...

სწორეთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ბება თავად-აზნაურთა ინტერესსაც ში უწევს, ემყარებიან ჩვენი მო- ნი და აქიდან ის თავისებური დასკვნა ეთ, რომ ვითომც მარტო თავად- რობისა და არა მთელი ხალხის ინ- ებს ვიცავდეთ, ვინაიდან გვასწავ- ისინი, „ორი მოწინააღმდეგე კლა- ნტერესები ერთად ვერ დაკმაყო- ბაო“.

ერთად ვერ დაკმაყოფილდება იქ, კლასიური ინტერესები ერთმანეთს დაპირდება, იქ, სადაც შრომა და კა- ერთმანეთს ებრძვის, იქ, სადაც ბედნიერება მეორის უბედურებასა, ზე დამოკიდებული. მაგრამ ჩვენ ვიცით, და თქვენ კი არა, ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორ მოწინააღმდეგე კლასთა ინტერესები გაერთიანებულია, როდესაც ამ ინტერესთა შორის ანტაგონიზმის ნაცვლად სოლიდარობაა. ასეთ შემთხვევებზე აკი წინათაც მოგახსენეთ ერთ-ერთ ჩვენ წერილში და აქ აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ სამეღიორაციო ბანკიც ერთი იმ დაწესებულებათაგანია, რომელიც ემსახურება თავადსაც, აზნაურსაც, გლეხსაც, ღვდელსაც და სხვ. ე. ი. იმ ხალხს, რომელზე ლაპარაკის უფლებას არავის აძლევთ, თუ თქვენი ნება და დასტური არ იქნა. აი, მობძანდით, საბუთებით დაგვიმტკიცეთ, რომ სამეღიორაციო ბანკი მარტო თავად-აზნაურული—წოდებრივი დაწესებულებაა და მაშინ გაიგონებს თქვენსას მკითხველი, თვარა ასე რომ სთქვათ ჩვენზე—„ხალხს“ ისინი სიტყვის დასამშვენებლათ ხმარობენო, ეს ვერაფერი არგუმენტია, თქვენც დამეთანხმებით. თურმე ნუ იტყვით, თქვენი სიტყვით, მე თავად-აზნაურობის იდეოლოგი, მარტო მისი ინტერესების ქომაგი ვყოფილვარ მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი გამოვსთქვი ამ სიტყვებით: „დღესაც გამოჩნდებიან თავად-აზნაურთა წრეში ქვეყნის მოამაგენი, ერის შეგნებული ჭირისუფალნი, რომელნიც თავს იდებენ ჵ საშვილიშვილო საქმეს (სამეღ. ბანკის დაფუძნების საქმეს) ბოლომდი გაუძღვებიან-თქო“. არის აქ რამე წოდებრივობის დაცვა? ვერ წარმოგიდგენიათ, რომ თავად-აზნაურობის წრეში ისეთი შეგნებულნი ცალკე პირნი მოიძებნონ, რომელთაც ითაონ და გაუძღვენ რაიმე საერთო—სახალხო, რაიმე დემოკრატიულ საქმეს? განა თქვენ შეუძლებლათ მიგაჩნიათ რომელიმე კერძო პირმა თავადთაგან ან აზნაურთაგან ხალხს გულწრფელათ და თავდადებით ემსახუროს? პირველად გესმით განა ასეთი ამბები? თქვენ თვითონ, ჩვენო მოკამათენო, განა ცოტა გყავთ თანამოაზრენი ამ წრიდან? განა ბურჟუაზული კლასიდან ცოტა არის ხალხის მოამაგე, ერის ჭირისუფალი, მუშისთვის თავგანწირული დამცველი? რატომ არ არჩევთ კლასს ცალკე შეგნებულ პირთაგან?

თქვენი ცალმხრივი მსჯელობის ბრალია, რომ ასეთი საანბანო ჭეშმარიტებათა მტკიცება გვჭირდება ხოლმე.

იმავე აზრის საარგუმენტაციოთ ე ი. რომ მე „თუმცა მორცხვათ, მარა მაინც თავად-აზნაურობის მაღმერთებელი“ ყოფილვარ, თქვენ მეორე შემდეგი ციტატაც მოგყავთ ჩემი წერილიდან: „არა ერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მთელი საქართველოს თ.-აზნაურობა მთელი ერის ინტერესებს იცავდა და ქომაგობდა...“ არ გჯერათ? არ ყოფილა ამისთანა შემთხვევები? როდესაც ჩვენში თავად-აზნაურობა პოლიტიკურ ავტონომიაზე ბჭობდა და იცავდა მას, ეს მთელი ერის საქმე არ გახლავს? როდესაც თავად-აზნაურობა ერობის, ან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაზე შუამდგომლობდა, ამით იგი მარტო თავის ინტერესებს იცავდა და ქომაგობდა? როდესაც იგი ქართულ ენას იცავს, ან სწავლა-განათლებაზე მზრუნველობს, ესეც განა მთელი ერის საქმე არ გახლავს? აი, ამიტომაც მოგახსენეთ, რომ „რამდენათ ქართველი თავად-აზნაურობა მთელი ქვეყნის გამძღოლია, იმდენათ მას აქამდიც ერთნაირი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ დაუკარგავს-მეთქი“.

თქვენ კი ამ უეჭველი ფაქტის ჩემ მიერ ობიექტიურათ აღსარება წოდებრივობის პრინციპის დაცვათ ჩამომართვით——თავად-აზნაურობის მაღმერთებლათ გამომიყვანეთ. გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ ასეთი აზრის ნახტომები რიგიანი, მართებული კამათის ზნე-ჩვეულებას არ შეადგენს. თუ ჩემი შეხედულება თავად-აზნაურობაზე ასე გაინტერესებდათ და გსურდათ იგი მკითხველებისათვის გაგეცნოთ, რატომ იმავე წერილიდან სხვა ადგილებიც არ მოიყვანეთ, საიდგანაც უფრო ნათლად დაინახავდა მკითხველი, თუ ვისი მაღმერთებელი ვყოფილვარ. „თანამედროვე პირობებში, ვამბობდი მე, თავად აზნაურობას, როგორც წოდებას საზოგადოებრივი მნიშვნელობა თითქმის სრულიად დაკარგული აქვს. დღევანდელი ცხოვრების ღერძი სულ სხვა ელემენტია. შრომის შვილები, შრომაში გაზრდილნი, შრომის უღელში შებმულნი, ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი,—აი, ვინ არის ახლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი და სულის ჩამდგმელი-თქო“.. მიბრძანეთ ერთი, ამის მთქმელი და დამწერი თავად-აზნაურობის მაღმერთებელია, მისი იდეოლოგია? ნუ თუ ვერ არჩევთ უბრალოთ ობიექტიურათ აღნიშვნას მოწინააღმდეგე კლასის ცხოვრებიდან რომელიმე სასარგებლო მხარისა ამ კლასის სიტყვით და მოქმედებით დაცვისაგან? ნუ თუ, მაგ., იმის თქმა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიას ბევრი რამ გაუკეთებია მეცნიერებისა და საზოგადოთ კულტურის სფეროში, ამ ბურჟუაზიის იდეოლოგობას ნიშნავს, ცხოვრებაში ბურჟუაზულ პროგრამის გატარებას? თქვენ რომ ასეთი მსჯელობის ჩვეულნი არა ხართ, ეს კიდევ არ ავალებს სხვას თქვენებრ მოიქცეს. ჩემი გონება და სინიდისი არ მიკრძალავს ყოველს თავისი მიუზღო და იმავე დროს ჩემი სოციალური თუ პოლიტიკური მსოფლმხედველობა წმინდათ და სავსებით დავიცვა. ჩვენი შეხედულებით, კლასიური ანტიგონიზმი, ბრძოლა ერთი საქმეა და სიძულვილი, დაბრმავება, აშკარა და ნათელის უარყოფა სხვა გახლავთ. ამ შემთხვევაშიც ასე მოვიქეცით—თავად-აზნაურობას ზოგი ისეთის ფუნქციების შესრულება მივაწერეთ, რომელნიც ვიწრო წოდებრივი ხასიათის არ არიან და ესეც მხოლოდ ჩვენ თავად აზნაურობაზე ვსთქვით, ვინაიდან იგი, თანამედროვე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პირობათა გამო, იძულებულია ასეთი ფუნქციები იკისროს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ არას დროს არ გვავიწყდება, მოპირდაპირის პოზიცია დავიკავოთ მის მიმართ ყოველთვის, როდესაც კი ეს უკანასკნელი მსჯელობს, მოქმედებს, როგორც განსაზღვრული წოდება. ვისაც იმის უნარი არა აქვს, რომ მოწინააღმდეგის კარგიც დაინახოს, ის თავის დღეში ჭეშმარიტებას ვერ მიაგნებს, ვინაიდან ჭეშმარიტება თვისისა და სხვისის სანტეზია.

გრ. ზველესიანი.

◆

სავაჭრო სახლი გოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში.
ნ. ხრისტადულიდის
ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი [illegible] აბრეშუმის თესლის (რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდენ). [illegible] აუწყებს მებრეშუმეებს [illegible] თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ (ზაკაზის მომცემი) [illegible] არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ექვს მისხლიან [illegible] დის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზათ, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჭბატონებს მადა გაუღვიძა და მდარე [illegible] გაზეთები „ზაკავკ. რ.“, „სახ. გაზ.“, „ბათ. სიმართლე“ და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეთიკეტების კეთებას შეეცადენ. შესაძლოა ზემო-ღნიშნული ბოროტ[illegible] ნის დროს სიყალბის ასაცდენათ დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს“ და „შტემპელს“, აგრეთვე შეეცადეთ თესლი საიმედო პირთაგან შეიძინოთ.

ხალხთა შემოქმედების დიდს მდინარეს შეუტოტა ჩვენი ხალხის სულიერი ნაკადული, არათუ თანამედროვე კაცობრიობის სულის ანგებს გაგვაცნო, არამედ თანაბრათ განგვისახიერა ჩვენი დიდი წარსული და გვიჩვენა თუ რანი ვიყავით. მან გვანახა ლევან ხიმშიაშვილები, ვაიოზები—ეს გმირი ხალხი და უდრეკი მებრძოლნი სამშობლოს თავისუფლებისათვის. დაგვანახა აგრეთვე შახაბაზები, სულეიმანები და ბევრნი სხვანი მზგავსნი ბელადნი აღმოსავლეთის ურდოთა, რომელნიც განუწყვეტლათ აწიოკებდენ ჩვენს ტურფა სამშობლოს... შეგვაყვარა პირველნი, შეგვაძულა მეორენი!!

ასეთია მოკლეთ ჩვენი იუბილიარის მოღვაწეობის მდიდარი ნაყოფი და რამდენათ ეხლაა შეფასებული მესხიშვილი, ორჯერ უფრო მეტათ იქნება იგი შეფასებული შთამომავლობის მიერ, რადგანაც ის დედაბოძია ჩვენი ტეატრისა და მომავალი დიდი შენობაც ჩვენი ერის გამარჯვებისა ხელოვნების ამ დარგში—იქნება აგებული ამ უტყუარ ნიჭზე.

დღევანდელ აქ შეკრებით, ბატონებო, ჩვენც უერთებთ ჩვენს ხმას ჩვენი სამშობლოს აღტაცებულ მადლობის ხმას და შორიდან თუმცა, მაგრამ მაინც ტაშითა და ვაშით მივეგებებით ქართულ სცენის სიამაყეს...

და დამსწრეთაც გულწრფელი მადლობა მიუძღნეს იუბილიარს. ამის შემდეგ წარმოთქმულ იქნა რამოდენიმე ფრიად ყურადსაღები-მომენტისათვის შესაფერისი სიტყვები და პირადი შთაბეჭდილებანი და ნასიამოვნები საზოგადოება, მადლობას მოახსენებს თუ არა იუბილეს მომწყობ კომისიას, დაიშლება.

გ. ბ—ძე.

ქუთაის 1913 მარტი. (ახ. სტ.).

ნიკოლაძე—მეუნარგიას კამათის გამო.

ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის მეცხრე №-ში ბ. ნიკოლაძე სწერს იონა მეუნარგიას შესახებ: „მაშინ კი (1907) წ. მისმა ნათესავებმა ხმოსნები დაარწმუნეს შეიგნო თავისი შეცდომა, დაწყებულ საქმეს აწი ერთგულად ემსახურება, გამგეობის გულწრფელი თანამშრომელი იქნებაო.“

რადგანაც ფოთში ერთად-ერთი ნათესავი მეუნარგიასი მე ვარ, ვთხოვ ბატონ ნიკოლაძეს—დამისახელოს თუნდ ერთი ხმოსანი, რომელსაც გაეგონოს ჩემგან ის, რასაც იგი მე მაწერს. მეუნარგიას არჩევანში მონაწილეობას იღებდა 30 ხმოსანი. თუ ამ ოცდაათ კაცში ერთი გამოვა და იტყვის, რო მეთქვას მისთვის ის, რასაც ჩემ მაგიერ ლაპარაკობს ნიკოლაძე, ტყუილის მთქმელი მე ვიქნები, რადგანაც მეუნარგიას ჩემთვის არაფერი ამგვარი არ უთქვამს, თვარა და ნიკოლაძის ნათქვამი მისგანვე მოგონილია.

ამას, ვალად ვრაცხ, დავსძინო შემდეგი: როცა ხმოსნების მონდობილებით მე ვსთხოვე ბ. მეუნარგიას ქალაქის სამსახურზე გადმოსვლა, იმან ლაპარაკში თანხმობა მომცა, მაგრამ როცა საბოლოოთ დეპეშით მოვთხოვეთ თანხმობის გამოგზავნა, დეპეშზე პასუხი არ მოგვცა. ეს როგორღაც არ გავს იმ კაცს, რომელსაც ასურათებს ბ. ნიკოლაძე.

ფოთის ქალაქის ხმოსანი **ალექსანდრე ხოფერია.**

თეატრი და მუსიკა.

ვარდენ ლორთქიფანიძის კონცერტი.

24 თებერვალს ვარდენ ლორთქიფანიძის მიერ საკრებულო დარბაზში გამართულმა კონცერტმა საკმაოთ მიიზიდა საზოგადოება. კონცერტში ბ. ლორთქიფანიძის გარდა მონაწილეობა მიიღეს თფილისის საიმპერატორო მუსიკალური სასწავლებლის პროფესორმა ბ. ბროჯიმ—მუტინიმ და ამავე სასწავლებლის მოსწავლე კოვალევსკის ქალმა. ბ. ბროჯი თავისი ამ ორი საუკეთესო მოწაფით, რომლებზედაც დიდ იმედებს ამყარებს პატივცემული პროფესორი, 24 ამ თვეს წარსდგა ქუთაისის საზოგადოების წინაშე და დიდათ ნასიამოვნები დაგვტოვა. განსაკუთრებითი ყურადღება კი მიიზიდა ჩვენმა ახალგაზდა თანამემამულემ ვარდენ ლორთქიფანიძემ, რომლის თუმცა ჯერ კიდევ ჯეროვანათ დაუმუშავებელი, მაგრამ მშვენიერი მაღალი ბანი (ბასი-კონტანტე) სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. მაღალ ფარდულებში თანდათანობით გაშლა და სიძლიერე ხმის სრულიად თავისუფალი აქვს მომღერალს. იგი მოხდენილი ხელოვნებით ათამაშებს, ამეტყველებს ხმას. ვ. ლორთქიფანიძეს პასუხსაგები ადგილები ამოერჩია სასიმღერო საუკეთესო და რთული ოპერებიდგან, რაც შეგნებულათ შეასრულა მომღერალმა. განსაკუთრებით დიდის ექსპრესიით იმღერა ვ. ლორთქიფანიძემ გომეზის ოპერის „სალვატორ როზიდან“ ჰერცოგის პარტია. ჰერცოგის შეძრწუნებული გულის რისხვის ძლიერი ამოძახილი ხელოვნურად, ზეაღმტაცი გრძნობით შესცვალა თანდათანობითი გულის სიმთა შენელრევის, მწარე მოთქმის და სასოწარკვეთილების ჰანგზე გადასვლით. ოპერა „დემონიდან“ ცნობილი „ნუსტირი, ბავშო“ ბ. ლორთქიფანიძემ ქართულათ შეასრულა, რითაც საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა. იმღერა ქართული რომანსი „შენ გეტრფი მარად“ და დასასრულ უკვდავი ილიას ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზე მოგიწყენია.“ ამ სიტყვებზე აწყობილი ჰანგი დიდს არაფერს მუსიკალურს წარმოადგენს—უბრალო საგიტარო შაბლონური ხმაა, მაგრამ ვარდ. ლორთქიფანიძემ საკმაო გრძნობით [illegible] სიმღერის კილოში და დამსწრე საზოგადოება ასიამოვნა.

ვარდენ ლორთქიფანიძე მუსიკალურ ხელოვნებაში შესამჩნევ ადგილს დაიჭერს, თუ შესაფერათ გაავითარა მუსიკალური ცოდნა და უხვათ მინიჭებული ხმა,—სთქვა მისმა მასწავლებელმა ბროჯ—მუტინიმ. სამწუხაროდ სწორეთ ამ განვითარება-შესწავლის სახსარს არის მოკლებული ვ. ლორთქიფანიძე, როგორც ხელმოკლე ადამიანი და აი, აქ მართებს ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობა გაუწიოს მას და ჯეროვანი დახმარებით მისცეს საშვალება, რათა სრულიად გაიფურჩქნოს მისი უტყუარი ნიჭი ჩვენი მუსიკალური ხელოვნების წინწაწევის საქმისთვის.

ბ. ბროჯიმ, თუმცა შეუძლოთ იყო, მაგრამ, არტისტულათ და ღრმა ლირიკული ექსტაზით შეასრულ ნაკისრ—პარტიათა ხმების შეხმატკბილება. ვ. ლორთქიფანიძის ამხანაგ ახალგაზდა მოსწავლეს კოვალევსკის ქალს ტკბილი, სასიამოვნო და საკმაოთ ძლიერი ხმა აქვს დ ეჭვს გარეშეა, რომ ნიჭიერი მომღერალი ქალი დარჩება. ქ. სერდაკოვსკისამ როიალზე დიდი გამოცდილებით აკომპანიმენტის დაკვრით ხელი შეუწყო კონცერტის საამურათ ჩატარებას.

მადლობა ბ. ბროჯისა, ქ. სერდაკოვსკისას და კოვალევსკის ქალს, რომ ნიშნად გულითადი თანაგრძნობისა უსასყიდლოთ მოვიდენ თფილისიდან ვ. ლორთქიფანიძის დასახმარებლათ. განსნი.

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

Пріехавшій изъ
Екатеринбурга
молодой человѣкъ, желаетъ получить мѣсто писца или переписчика на пишушчей мащинѣ.
Адресъ: Балахванская ул.. д. № 116 Куталадзе.

Каждый долженъ
Пріобрѣсти посмертныя художественныя произведенія геніальнаго писателя
Графа Л. Н. Толстого
ТРИ БОЛЬШИХЪ
тома получай только за 2 руб. наложен. платеж. на 25 коп. дороже.
Склад. изданія Т-во „ОБОРОТЪ“
Варшава Маршалковская 62 отд.

მიიღება ხელის-მოწერა
ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნალ
„კლდე“-ზე.
1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10
საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.
სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წლ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურათ.
განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.
მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
„განათლება“
მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.
(წელიწადი მეექვსე).
1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.
იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.
წლიური ფასი: ოთხი მანეთი (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებსა და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურათ სამ მანეთად, საზღვარგარეთ 6 მანეთად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.
ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი
რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.
მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.
რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ЯЗЫКИ: Французскій, Нѣмецкій. Англійскій, Латинскі
каждый безусловно имѣетъ возможность основательно изучит (правильный разговоръ, чтеніе и письмо).
БЕЗЪ ПОМОЩИ ПРЕПОДАВАТЕЛЯ
Въ 2—3 мѣс. и даже скорѣе (зависитъ отъ усердія и способности) по нашим вѣйшимъ методамъ и самоучителямъ. Успехъ гарантируемъ возвратомъ денегъ до 3-мѣсяцевъ. Тысячи лицъ разныхъ слоевъ общества прислали намъ
благодарности и похвальн. отзывы.
ВЫСЫЛАЕМЪ НАЛОЖЕННЫМЪ ПЛАТЕЖЕМЪ.
Цѣна одного самоучителя 1 р. 10 к., 2-хъ 2 р., 3-хъ 2 р. 80 к., 4-хъ 3 р. 50 съ пересылкой.
Складъ изданіи Т-во „Оборотъ“ Варшава Маршаловская 62 отд.

Теперь вы можете имѣть
дѣйствительно полный, подробный и точный лизъ характера, опредѣленіе прошлаго, насто го и будущаго.
не за 6 рублей, а только за 1 рубль
ПОЗНАЙТЕ СЕБЯ!
ПОЗНАЙТЕ ДРУГИХ
Пришлите почеркъ свой или интересующей Васъ личности, сообщите при Имя годъ, мѣсяцъ и число рожденія, изъ скольхихъ душъ состоитъ личная писавшаго,—по этимъ даннымъ Вы получите отъ меня, Психо-Графолога Х. ШИЛЛЕРЪ-ШКОЛЬНИКА (автора научныхъ трудовъ), заказнымъ письмомъ, строго учный, полный, точный и подробный анализъ характера опредѣленіе прошлаго стоящаго и будущаго, съ указаніемъ важныхъ событій въ жизни. Вѣрные отвѣ всѣ предложенные вопросы. Цѣнные совѣты и предупрежденія, Анализъ прин неоцѣнимо-моральную пользу, что потверждается множествомъ лестныхъ отзы и благо дарностей.
Анализъ высылается за 1 р. наложеннымъ плат. на 30 коп. дороже. Ана болѣе детальный, съ подробнымъ гороскопомъ, составляемымъ знаменитымъ момъ Миссъ-Хассэ, съ указаніями, какъ жить? что дѣлать? высылается за три ля, наложеннымъ плат. на 30 коп. дороже.
Я производилъ свои научные анализы знатнѣйшимъ и Высокопоставлен особамъ, Князямъ, Графамъ, Баронамъ, Генераламъ, Ученнымъ, Профессорамъ, чамъ, Педагогамъ, Духовенству и Купцамъ и удостоился получить множество ныхъ отзывовъ и благодарностей.
О моей спеціальности по Френо-Графологіи и моихъ произведеніяхъ неод ратно публиковалось во всѣхъ извѣстныхъ органахъ, журналахъ и газетахъ Ев ны, Имѣется множество лестныхъ отзывовъ печати.
Деньги переводомъ или марки только въ заказномъ, темномъ, хорошо за танномъ конвертѣ. Налож. на 30 коп. дороже.
Адресъ: Психо-Френологу Х. М. Шиллеръ-Школьнику, Варшава, Пенкная № 25—П.
Брошюра съ множествомъ отзывовъ и благодарностей отъ высокопостовлен. ос множество прилагается при всякомъ заказѣ.



ვაჭრების საყურადღებოთ.
ნ. ს. ტერპის მაღაზია
ქუთაისში.
აძლევს აცნობებს,
რომ მაღაზიაში დღეიდან არის დიდი სა ყობი და იყიდება ვენახის სარწყავი
ვერმორელის სისტემის მანქანები და მისი ნაწილები.
დიდი მოთხოვნილების გამო მსურველთ შეუძლიათ მიმარ აქიდანვე, რათა დროზე შეიძლებოდეს მანქანების მიწოდება. მანქანის ნიმუშის დათვალიერება შეიძლება ყოველთვის მაღაზი ქარვასლის ქუჩაზე გველესიანის შენობაში.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, ი სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მია განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „Бемское“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავ-
თული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.